

1  
1962

ქართული  
ბიბლიოთეკა

40



ВСЕГДА ГОТОВ



№ 10

თბილისი მაისი

1962

ნახ. თ. სამსონაძისა


ნუნუ

ჩვენი კვების მთა და ბარში  
ზეიშია არნახული,  
მთელმა ხალხმა მოგილოცათ  
მეორე მოცე ბაზაფხული.

გამოცემის XXXX წელი, ფასი 20 კაპ.

# საქართველო და ავროპა

მეგობრული შარტი



დოდო ანთაძე

(დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

პოსტიც მაღალი გიჭირავს გვყავხარ ტანითაც მაღალი, ისეთ სპექტაკლებს გვიდგამდე, არ ატყდეს აყალმაყალი, არ მოგვეწყინოს, ვიხილოთ ნიადავ ახალ-ახალი, ვიხილოთ ხარისხით იყოს ყოველი თვით შენს ღონეზე მაღალი.

—სალამი და დღევანდლობა იზოლდას! — მიესალმა მორდებ კრიხელი ნაცნობ გოგონას.—საით მიეჩქარებით?

— სასწრაფო საქმე მაქვს, ჩემო მორდებ, ფული მჭირდება სახელდახელოდ.

— რა არის ასეთი საჩქარო, იქნებ მე გაგიწიოთ სამსახური? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მორდებ კრიხელი.

— ნაცნობ სპეკულანტ ქალისაგან საზღვარგარეთულ უაქეტს ვყიდულობ და 20 მანეთი დამაკლდა.

სპეკულანტი ქალის ხსენებაზე მორდებნას სახე გაუბრწყინდა და მისი ვინაობით დაინტერესდა.

— იქნებ არ ღირს ყიდვა, შეიძლება სხვაგან უკეთესი ვიშოვოთ. მე წამოგყვებით, ავირჩევთ. — უთხრა მორდებ კრიხელმა და ორივენი გაეშურნენ სუნდუკიანის ქუჩისაკენ.

— ქალბატონო რიმა! კიდევ ერთი მუშტარი მოგიყვანეთ. ჩემი ახლობელია.— მიმართა იზოლდამ რიმა ბასეხესს და მ. კრიხელი წარუდგინა.

— სასიამოვნოა, მობრძანდით, რას ინებებთ? — მიიპატიჟა რიმა სტუმრები და სახლში გამართულ დახლზე ათასნაირი საქონელი გადმოუღა.

მ. კრიხელი ხარბად ათვალისწინებდა ყველაფერს და ქებით ენა არ ეღლებოდა. შემდეგ ჯიბიდან 20 მანეთი ამოიღო და რიმა ბასეხესს გადასცა იზოლდას უაქეტისათვის. თანაც დამსახურებულ სპეკულანტს საზეიმო დაპირება მისცა, რომ კლიენტების რიცხვს ერთი ასად გაუზრდიდა.

ვინ იცის, რომელ კლიენტებზე ფიქრობდა იმ დროს მორდებ კრიხელი. მან იმავე დღეს ინახულა მილიციის ყოფილი მუშაკი კ. ბრეგვაძე და განზრახვა გაანდო: სპეკულანტი რაღა სხვას ჩავუგდოთ ხელში, თუ რამე სახეიროა, ჩვენ თვითონ ვიხეიროთო.

კონსტანტინე ბრეგვაძეს ჭკუაში დაუჭდა მ. კრიხელის წინადადება და სასწრაფოდ შეიმუშავა „ოპერატიული“ გეგმა. განსახორციელებლად საჭირო გახდა შტატის გაზრდა და აფერისტების ჯგუფს მალე ორი „მებრძოლი“ შეემატა — მანუელ მანაშეროვი და გოდერძი კანთელაძე. დილის 9 საათი იყო, როცა ისინი სუნდუკიანის ქ. № 7-ში მცხოვრებ რიმა ბასეხესს ესტუმრნენ.

მასპინძელმა კარი გააღო და სახე გაუბრწყინდა, იფიქრა მუშტრები მოვიდნენო და სახლში თაყაზიანად შეიპატიჟა.

მისულებმა მალე ოფიციალური სახე მიიღეს და ოფიციალური ტონით შეეკითხნენ დიასახლისს — თქვენ ბრძანდებით რიმა ბასეხესი?

— დიახ, გახლავართ. — მოხარულად იმეორებდა მორდებ კრიხელი.

— ჩვენ ვართ მილიციისა და პრესის მუშაკები. — ერთიმეორეს არ აცლიდნენ ლაპარაკს მისულები.

რიმას სახე შეეცვალა. ნამდვილად გამყიდვსო, თავისთვის ჩაილაპარაკა და ოთახში გულის კანკალით შეებრუნდა. არ მოელოდა ასეთ ფინალს. დაუბატიყებელი სტუმრებიც შეეყვნენ ოთახში. ზოგმა ქალაღი მოიმარჯვა, ზოგმა კალამი და ზოგმაც ჯიბისკენ წაიღო ხელი ნიშნად იმისა, რომ შეიარაღებდასა და მზადყოფნისათვის გაესვათ ხაზი.

— ჩხრეკას ვიწყებთ, გადმოლაგეთ რაც გაგაჩნიათ, — უბრძანა გამოცდილების მქონე მუშაკის კილოთი კ. ბრეგვაძემ.

არაფერი ცუდი არ გამოიკეთებია, ნუ ინებებთ ჩემს დაღუპვას. — უთხრა აცრემლებულმა რიმამ შეწუხებული კილოთი.

— ვის უბედავ ტყუილს, მე ხომ ვიცი შენი საქმეები? — ხმას აუწია მორდებამ და დაიწყო ნივთების ქექვა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

— ნუ დამღუპავთ, რა გინდათ ჩემგან?

— კანონის ძალით თქვენ დაპატიმრებული ხართ და ბინა უნდა გაიხრჩიკოს. — უბასუხა კ. ბრეგვაძემ.

— შედით ჩემს მდგომარეობაში, ნუ გამაუბედურებთ, წაიღეთ რაც გნებავთ. — ეხვეწებოდა რიმა.


— შენი ბედი შენს ხელშია, ჩამოყაჭე, რაც ფული გაქვს და თავისუფალი იქნები. — უთხრა მ. კრიხელმა.

რიმა დაფაცურდა, სხვადასხვა ადგილიდან ამოალაგა ნავაჭრი ფული და 2.300 მანეთს მრუყარა თავი. ბიჭებმა ფული დაუთვლელად მოათავსეს „საკუთარ სალაროში“. შემდეგ სასპეკულაციო საქონელს გადაავლეს თვალი, იქიდანაც ამოიღეს ნეილონის ოთხი პერანგი და სხვა მოსაწონი ნივთები და რიმას დაემშვიდობნენ. გზაში კი ლაპარაკობდნენ: დანაშაულად ვინ ჩაგვითვლის სპეკულანტის ტყავის გაძრობას, „ჭურღის ქურდი ცხონებულაო“.

რიმა ბასეხესი გვიან მიხვდა, რომ მოულოდნელი სტუმრები არც მილიციის მუშაკები იყვნენ და არც პრესის. ისიც გაიგო, რომ სათანადო ორგანოებს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ ამ ვაჟაკების საქმიანობა. ალბათ, იმაზეც ფიქრობს, რომ მალე საპასუხო ვიზიტით მოუწევს, მოინახულოს მისი ყოფილი „სტუმრები“.



ლაილუკო, უფროსო?



როცა ავტონსპექტორი მთვრალ მძღოლს დააკავეს, მძღოლი, რა თქმა უნდა, როგორც წესი, თავს დამნაშავედ არა ცნობს და მთელი თავისი ვაჟკაციური შემართებით ატყუდება წინ „უსამართლო“ ინსპექტორის „უსამართლო“ მოქმედებას.

— მერე რა, რომ დავლიე?  
— კაცი არა ხარ, ქართველი არა ხარ, ცოლ-შვილი უნდა დამილუპო?

— რაღა მე გადამეციდე? ვაჟკაცი არა ხარ, უფროსო? და ეს მაშინ როცა ამ ფიზიკურად გაუმართავ მძღოლს, მანქანაც ტექნიკურად გაუმართავი ჰყავს გამოყვანილი, თუ შემჩნიეს ყველაფერი ეს და გარაუშო დააბრუნეს, ხომ კარგი, არა და შემოსძახებს, „გარადას“ და „ჰაიდა“ წავიდა თავპირის-მტვრევით, რასაც უმრავლეს შემთხვევაში უეჭველად მოსდევს „ვაი“ და „ვაი ღედა“.

ასეთი ვაი-მძღოლი საფრთხეში აგდებს მანქანას და ყველას და ყველაფერს, რაც და ვინც მანქანაში იმყოფება მგზავრებს, საკუთარ თავს, სხვა მანქანას და მის „ეკიპაჟს“ და გამვლელ-გამომვლელებს, მაგრამ ასეთი „წვრილმანი“ მოსალოდნელობა ფიქრად არ უღირს ბახუსისაგან გახურებულ თავს, რომელიც თავს არხეინად გრძნობს — თავხედი, თავაშვებული, თავხეხელადებული.

ან არა და, თუ ფხიზელია, მიეჩქარება მაინც საღდაც, საბურავებზე ჰკიდია ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვა და, ამიტომაც, მირბის და მიაქროლებს თავის მერანს უგზო-უკვლოდ.

ავტობუსი 55-00 გრბ, გასული წლის 5 დეკემბერს, 17 საათზე გავიდა ორჯონიკიძის მოედნიდან და შეჩერდა საქართველოს სამხედრო გზაზე სახლ № 21/23-ის წინ, რათა მარცხნივ მოხვევამდე გზა მიეცა სხვა ტრანსპორტისათვის.

მაშინ მხიარულად ანათებდა მზე და ავტობუსის მძღოლს ზურაბ მანუკის-ძე მარტიროსიანსაც გული საგულეს ჰქონდა, მაგრამ ამ დროს მანქანა „ვოლგა“ 88-68 გრა — (ტაქსომოტორების მანქანა), ოსებ ივანეს ძე მელიკოვის მძღოლობით წინიდან ურქინა მის ავტობუსს, მერე, ვითომ აქ არაფერიყო, არ უკლო სიჩქარეს, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს, გაიჭროლა 23 მეტრი და გაჩერებაზე მდგარ სამგზავრო ავტობუსს № 51-45 გრას — დაეჯახა თავაწყვეტილი.

დაზიანდა ორი მანქანა და მძიმედ დაზავდა ტაქსის სამი მგზავრი...

არ გაუვლია 5 დღეს, რომ დეკემბრის 10-ს, 1 საათსა და 30 წუთზე „პობედა“ 33 00-61 — ტაქსი გიორგი ვაჩაგანის-ძე ტაქსოვლის მძღოლობით ამოდიოდა ჯორჯიაშვილის ქუჩით რუსთაველის პროსპექტისაკენ. მაგრამ ამ დროს, სად იყო და სად არა, ძნელადის ქუჩაზე „პობედა“ 33 05-17-ტაქსი — მიხეილ შალვას-ძე კაზიშვილის მძღოლობით მოქროდა დაუშვებელი სიჩქარით, მიხეილ შალვას-ძემ, ჯორჯიაშვილის ქუჩიდან ამომავალი ტაქსი რომ დაინახა, არ უკლო სიჩქარეს და ყოჩივით აჯახა ტაქსი ტაქსს და მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდა გონს მგზავრებთან ერთად რამდენიმე საათის შემდეგ...

მიმდინარე წლის 13 აპრილის (რიცხვი 13 აქ არაფერ შუაშია) 19 საათამდე მშვიდად იდგა სახლი, მდებარე ფეიქრის ქუჩა № 4-ში. იდგა თავისთვის, არხეინად, არც მიწისძვრა ეშუქრებოდა და არც რაიმეს ხვა სტიქიური უბედურება... მაგრამ მოწმენდილ ცაზეც ხომ იქუხებს და იქუხა ამ სახლის თავზეც... თბილგვირამშენის თვითმცლელზე № 89-32 გრა უღარდელად იჯდა მძღოლი რაზმიკ ერვანდის-ძე კარაპეტიანი, ატარა, ატარა თვითმცლელი და სწორედ შემოსხენებული სახლის ზემოთ გააჩერა. დატოვა მანქანა თავდაღმართზე და თავისი პირადი საქმის მოსაგვარებლად მიეფარა თვალთ.

ხალხი კი ამბობს, კაბინაში ვილაცა ქალი დატოვა, ქალს მოეწყინა, უჩხიკინა, უჩხიკინა და მანქანა დააგორაო, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, დაგორდა მანქანა, შეანჯვრა სახლის კედელი და შურდულივით შევარდა ნურიევის ბინაში, დაზიანდა თვითონაც და სამი ადამიანიც სასწრაფო დახმარების მანქანას წააყვანინა სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში.

კარაპეტიანს რომ უსაყვედუროთ, შენი დაუდევრობით ადამიანი დაზიანეთ, ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს, ასეთი მოფამფალეებული კედელი რატომ გაუკეთეს სახლს, ანია მათზე, რაც მოუვიდათ, მე რას მერჩით, თავი დამანებეთო, გეტყვით.

ნიანგს მხოლოდ ერთი რჩევა შეუძლია მისცეს უპასუხისმგებლო მძღოლებს: თუ სხვები არ გეცოდნებათ, თავს მაინც გაუფრთხილდით, ბიძია, დროზე დაფიქრდით, თუ არ გინდათ, საოპერაციო, მაგიდაზე მოგიყვანონ გონს შეკერილ-გარემონტებული.

1922

1962



**მიხეილ მთხის**

მუდამ ახვითა არ იყო, ახლა რომ ხედავთ ეგეთად, ცოტა ხნის წინათ მშხასაც ხომ ყელსახვევიც იცოდა, ხალხი რომ მიყარა-მოყარა და ბრალიდას იცვოდა, ფიტებს უამრავს ვიჩვენებს, ოღონდ მიტოვ შეცვოდა.

**სუბა ბერულავას**

მრავალ წიგნით, ისტორიით, რომ გავეცნობა გულითა, მღინარე გახდა მჩქეფარე პატარა „ნაყადუღა“.

**მელა ჯაფარიძის**

გახსოვს, ჩვენთან სახალგებო მოყვანა დღეცომა, ახლა დღეი ქალი გვაყოფარ, დღეუბტო მდევარ.

**ვიკისალაშის, გოგლია-მდიანის**

კლავიშების ჩალოქრებს, და მუსიკის ხაოქრება, მსოფლიო რომ გააოცდეს, ახლა რა გავტოვ სხვა ოცნება?

**ნონა გაფრინაშვილის**


შენი ნიშის შემყურებს, ჩას გვექცია შოში, მტოქრებს არ მოკალო შემენებური კიოვი.

**ბაბაი ბერიშვილის**

ერთობათა მკვლ პიონერი, ამაჟამდ მესტერი მუშაკი, ჩვენს რიგებში პირველობდი, — ერთი, ორი, იუჯ სწორი — პიონერთა სახალგებოლდ, გაბოხვედი პარფესორი.



ახალგაზრდა კოინების ბოლო ვაგონს რომ უხსენა, ან მემონით უნარები, ისეთ დეტებს დასტეკვიენ, ცხს შესძრავენ მქუხარებოთ, პიონერთა სახალგებო აქორილი მუნხარები, ოთარები, თამაშები, განსულდები, მუნხარები.



**ბასან ნინიძის**

პიონერს ხანას ნინებე დაეცა სა-ღარბე გამოსარბოე მუშეი, ზოგს რომ პატარა ბიხნი, თურმე ყოფილარ ბიხნი, შემოპარული ქაშვილი ახარის ტკავიშე ვაგონიანი.

**სოფელ შუბანასაშვილის კოინარას**

აქ ევრ იხილავთ პიონერს ზარბებს, ცარილგოდრიანს, სამოჯ ცენებრის რომ მოიყვან, მქებარზე ცოტა რილითა, კომდებრენი, იმარაგეთ, პიონერები მოიდან.

**ახალგაზრდა მარიის თეირი ჯიშის**

ჩაის ყოღრბებს მობიე, ანგლის ვაგნა, ვოა ქირაი, ბავშვს მდღლო არ დავილდის, მართალითა, ვანა კიე, ახლა ოქროს ვაგონადი გავქვს.

**ჯარითის შემგზავნაშვილის**

თბილისს მოიხარებებს მიერ შეგროვილი ვართო 2 ვეგონადი იქნა აფხუელი, ვართო ვართო მისუბრით, გამოსრავეთ უწყნა რავოთ, კითოი ოცდეს სტრავს თქვენი ნაქაროლო ოქოპაოთ.

**ოპარისა და ბაგაშვილის თეირის**

მაღლობის მდები რა გვეთქმის, რომ არ გვივიწყებს არილდეს, თქვენი ობერთი, ბაღდითი დიდი-პატარა ხარობდეს.

**შახსანსაშვილის შახარაის**

ახეთ კუმების მაგივრად კოტა ტულუბი გემეროთ, ცაცს მოსყოფერი გვიონის, შახარას „თილილის“ ენეროს.



**ნ მ რ რ ლ მ ნ ი ნ ე მ ლ ე მ ს**

ჩვენი რესპუბლიკის პირველი მხარვედი ვლადიმერ ვ. ი. ლენინის სახელობის პირველი ობერპროსტრუქტორის 40 წლისაა.

პირველი ობერპროსტრუქტორი იტალია ჩვენი ბავშვების, ყველა საბჭოთა აღმართის დიდი დღესწამელი.

შეშალა კონსტრუქციის პარტიის და საბჭოთა მოთხოვნის დეტალიზაციის სპეციალისტად რომ პიონერებს გაეცნა და მდინარე ბაგაშვილი, ყველა პარტიისა შვილი იმისათვის, რომ აღიზაროთ გენერალიზაციის უნარს, შრომისმოყვარე, სწავლულ ადამიანებად, კომუნისტებს დასრულებული მომსახურებელი.

ლენინის პირველი ობერპროსტრუქტორის სახელობის ობერპროსტრუქტორის 40 წლისაა. მისი პირველი ობერპროსტრუქტორის სახელობის ობერპროსტრუქტორის 40 წლისაა. მისი პირველი ობერპროსტრუქტორის სახელობის ობერპროსტრუქტორის 40 წლისაა.

ღმინაყვია, ზოია რუხაძე, იური გიგინი, ვერა ტიტოვი, ნინა გაფრინაშვილი, ელისო ვრისალაძე.

ბავშვი ერთი დღის ოქციონადი უფროდენ ნარგავებს, აგროგებდენ ქარის მოხადვით უფრო მოსავლი, მათ პიონერული ფიცი დღეს უფროდენი ღარიბს წინაშე, რომ ოქციონადი უფროდენი „აგროდენი“ და ახალგაზრდა საბჭოთა დღისა.

და ახალგაზრდა კლდე, თქვენი ნინის მოთხოვნებით ხართ და კარგად იცით, რომ მათ მხოლოდ მათივე ვეგონს ვერა ვერა გატყუებენ: ბაგრაბების, მუხარბების, მუხარბების, ხელგებების, გამოხალგადავების, წყლულებების, ცალმსკენებლების, უნარების, არამდინარის და შედეგად მათა წყალგადა.

ნაგვი მოხარული იქნება ჩვენი ნინის მუხარბების თუ ოქციონადი მუხარბების ვაგონში შემოიღებენ საბჭოთა და ოქციონადი პატარა კიბების, საბჭოთა პარტი მხოლოდ შეუპოვრად ვიბორილო იმით ხელნაწივად, ვინ ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის წინსვლის კონსტრუქციის ვაგონს შეწყვეტადაც.

**მანანას სიმღერის ახალი მარინატი**


მეფარს ციხე ფილმები სველფორტე ძალიან, მაგამ კონსტრუქციის ჩვენთვის არა სცოლა!



ნახ. ზ. წერეთლისა



შეკრთამე, შუამავალი...



იხილეთ შუა მავალი.

# ნიგნობს კოფეზე

სოსხუმშიც უყვართ წიგნი, ყიდულობენ, კითხულობენ, პატივს სცემენ, მისგან იძენენ ცოდნას და სხვემსავით აღიარებული აქვთ ცოდნის წყაროდ.

„აფხაზწიგნვაჭრობის“ მუშაკებსაც უყვართ წიგნი, მისი მყიდველებიც და მკითხველებიც.

ამიტომაც აწუხებენ ზემდგომ და კიდევ უფრო ზემდგომ ორგანოებს, ცუდ დღეშია ჩვენი წიგნები, შავ დღეშია ჩვენი ვაჭრობა, ნულარ გვავალებთ, მოგვხედეთ მაღლე, გვიშველეთ და მერე თქვენი გეგმა და ჩვენი ასზე მეტი პროცენტი.

მაგრამ არა, მათი ხმა რჩება ხმად მღალაღებლისა... წალოცტა შინა, აკი არა-ვინაა წასაკითხი და ისევ და ისევ გადასაკითხი წიგნების მკითხველების გამკითხავი.

წაიღეთ წიგნები, დაყარეთ, როგორც გინდათ, ახარისხეთ, როგორც მოგიხერხდებათ, თავი იხვეთქეთ, კულტურულად ივაჭრეთ, საქონელიც არ ჩააწვინოთ და მკითხველებიც დააყმაყოფილოთ. არადა... თუ ასეთი პირობებში მუშაობა არ გინდათ, — თქვენ წახვალთ და სხვები მოვლენ ტურფასა საბაღნაროსაო.

ერთი ცხვრისკენ და ერთი მგლისკენ:  
შოგადამიგ გულიც კი აუჩუყდებათ, მართლა და მართლა, ასე როგორ შეიძლება მუშაობა, ცოდონი არიან, მივხედოთ, ეს აგუშენოთ, ის გაგუფართოვოთ, გე გავურემონტოთ, მაგრამ, იტყვიან თუ არა ამას, დავიწყების ფერფლს გადააყრიან ფრატიანა ქაღალდს და ისევ ძველებურად მიედინება ცხოვრება თვისი კალაპოტი...  
და ასე გრძელდება წიგნების მანძილზე და მდგომარეობა, რაც დრო გადის, უარესდება და უარესდება.

„აფხაზწიგნვაჭრობის“ პირველი მაღაზია სოსხუმში ისეთ დღეშია, რომ თვით ქალაქის მესვეურებმაც სირცხვილისაგან იწვიან მის დანახვაზე და ასკვნიან: თავი რომ არ მოგვეჭრას, ჯობია დაგვეტოთ ეს მაღაზიაო, მაგრამ სად გაგონილა სნეულის მკვლელობით სნეულებასთან შერკინება?!

პირველი მაღაზია პირველია თავისი მოუწყობლობით, კარს შექნდავ და გულზე შემოგვყვრება, აქერცლილი, კანაგარდნილი, დაღმეჭილი და გაოხრებული, კედლები — დასველებული, ომმოკიდებული, იატაკი — ლუარსაბის სახლის იატაკივით ამოცვენილი, და დაღრეჯილი. ფეხი რომ ჩავივარდეს, ბოდიშსაც არავინ მოიხდის, თანამშრომლები რა შუაში არიან, თვითაც უვარდებით ფეხი და ისიც ყოველ გამყიდ-

ველზე უფრო ხშირად, მაგრამ სხვადასხვა ვითარებათა გამო, ბედს არიან შერეგებულნი, ჰოდა თვითონ უნდა მიხედო საკუთარ თავს: ხომ გაგიგონია, რაც მოგვიყვია, დაგიყოფილა მაღაზია ორ შენობაშია მოთავსებული, მხოლოდ განყოფილებაში დროდადრო წყალგაყვანაღობა ფუჭდება, ტყვინი ჩამოიქცევა და წიგნებს ესხმება თავზე, ათასობით მანეთის წიგნი გაუდგება გზასა უფლისასა და მერე ბუღალტერის მეტი არაფერი შევლის: ჩამოწვრა და იმისი ჯანი.

საწყობი ბნელია და მაღაზიის საცოდობოთ კედლებს ცრემლი სდით დაპალუპით, ზოგი თანამშრომელი იმას ამბობს, ეს ჩვენი მაღაზიის უკან აბანო რომ არის, იმის ნაოფლარაო, მაგრამ, ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ბნელ სარდაფში წიგნებს იმდენი თბი ეკიდება, რომ, კარგი ბიჭობა გინდა, წიგნის სათაური მაინც გაარჩიო, გახუნებული და გადაშლილი.

თუმცა, მერე რა, თუ ვერ გარჩევ, სულ ერთია, ათასობით წიგნი იქნება ჩამოსაწერი და, შენი ცნობისმოყვარეობით მოწონებული წიგნიც მათ შორის რომ მოექცეს, ამით აბარა დაშავდება: სადაც იმდენი, იქ ეს ერთიც! ჩამოწვროს, მისი სახსენებელიც ნუ იქნება წიგნების ათასებში.

თუ შენი მუშობელი შენზე უარეს დღეშია, შენს მდგომარეობას ხომ უნდა შეურიგდე.

ჰოდა, მისი მაღაზიაც უნდა შეურიგდეს თავის ბედს, აკი სასკოლო-საკანცელარიო წიგნების მაღაზია, მის პირდაპირ რომა მოთავსებული, ისეთი იატაკის პატრონია, რომ, არამცთუ ბავშვებს, 44-ნომრიან ფესხაცმელების მატარებელ მამაკაცებსაც დაერიდებოთ იმაზე გაგლა.


თუ, როგორც იტყვიან, მფრინავის გული გაქვთ, „აფხაზწიგნვაჭრობის“ დედისერთა საწყობში უნდა შეხვიდეთ, სადგურ ბართაშვილის გვერდით რომ არის მოთავსებული, და, თუ ორ წუთში თაროებისაგან წიგნების ჩამოწვავების შიშისაგან გული არ გაგისკდათ, თვითონვე მიულოცეთ საკუთარ თავს და გმირი შეირქვათ, არადა, სასწრაფო დახმარების გარდა ვერავინ დაგეხმარებათ, წასულია თქვენი საქმე.

„აფხაზწიგნვაჭრობის“ მუშაკებს თუ ყველა ნატვრის არა, ერთი ნატვრის ახდენის დაუოკებელი სურვილი არც დღე აძლევთ მოსვენებას და არც ღამე: ნეტავი ერთი ისეთი საწყობი მოგვცა, რომ წიგნები გასაყიდად გატანამდე არ გვიფუჭებოდეს, სად რა გვიწყვია, ტვინის ჭყლეტის და საათობით ვაი-ვაგლახის გარეშე ვაგნებდეთ, როგორმე გავართმევდით თავს წიგნებით ვაჭრობას, არც წიგნების გოდებას მოვისმენდით და არც მკითხველების სამართლიან საყვედურებს და ვიმუშავებდით სინდისდამშვიდებულნი, მაგრამ სადაა, ბატონო, დადგენილებები კი გამოაქვთ ჩვენს უფროსებს, მაგრამ დადგენილება საწყობად არ გამოდგება, ნეტავი იმ დადგენილებების შესრულებას მოვესწრებოდეთ და მერე ჩვენ ვიცითო.

დროა არ ისმოდეს აფხაზეთში წიგნების გოდება.

ი. გარსამია  
პარაზოტი.

ნახ. ნ. მაღაზონიას



კატა პედანტი.



მგზავრებს ჯერ კიდევ არ დაეიწყებიათ ის დრო, როდესაც გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 4 სამშენებლო რაიონის მუშებმა სოფელ მუხათვერ-ლიდან დიდომის სასწავლო-საცდელ მეურნეობამდე გზის მარჯვენა ნაპირზე გრძელი თხრილი გათხარეს და შიგ ბაზალტის თლილი ქვები ჩააწყვეს, შექმნეს მიწა მიყარეს, ხელები დაიბანეს, ამ სიტყვის სრული გაგებით. მაგრამ ერთი დრო ვის შეერჩენია; მწკრივად დალაგებული ქვების რიგი ისევე დაიფრისა, ვითარ-ცა კავკასიონის ქედი. სამშენებლო რაიონის ხელმძღვანელებმა სასწრაფო თათბირი მოიწვიეს და გამო-არკვიეს, რომ, ბაზალტის ქვების მიწაში ჩაწყობი-სას, სიმკვრივისა და სიმტკიცის მიმკვთის ცემენტის ხსნარის ჩასხმა დაეიწყებოდათ. ისევ დაიწერა ბრძა-ნება, შედგა ხარჯთაღრიცხვა, გამოიყო თანხები და ხელმარდმა ხელოსნებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს. რო-გორც ნიანგის მიერ გადაღებულ სურათზე ხედავთ. მიწიდან ამოყარეს ყოველი მგზავრებს და მაცხოვ-რებლებს ახლა ერთი ფიჭვი აწვალა: ვაითუ კი-დედ დაეიწყდეს რაიმე სამშენებლო რაიონის ზოგი-ერთ მუშაკს და ხელმეორედ დასჭირდეს გზის დაზღ-რვა და ქვების ამოყრაო.

3. არაბველი



ხშირად გამოსთქვამენ საევე-დურს ქუჩებში დადგმულ ტელე-ფონების აპარატებზე ხმას არ იღებს და ორკაპიკიანს ყოველ-გვარი მომსახურების გარეშე ყლა-პავსო. იმას კი აღარ ამბობენ, აპა-რატს რომ თავბირს დაამტვრევ, ენას ამოგლეჯ როგორღა ილაპა-რაყებს?


ნიანგმა თავისი ფოტოაპარატით გადაიღო პავლოვის № 13 სახლ-თან დადგმული ტელეფონის ჯი-ხური, რომელსაც ხულიგნების წყალობით კარებიც კი მოგლეჯი-ლი აქვს. ცხადია, ასეთი „ბრძო-ლის“ დროს აპარატსაც არ დაად-გებოდა კარგი დღე.



გასიკინება თბილისში

მე კახეთიდან ჩამოველ, სტუმრად ვეწვიე ნაძვლის ქუჩის ქუჩებში გამასეირნა, არ გამიტება ხატრიკი, გუთნის ქუჩაზე გამიძღვა და გუთანივით მათრია. იქიდან დაღმართს ჩავყევით, მუხლამდე ვზილე ტალახი, ერთგან ღრმა გუბი გავტოპე, ფეხზე მომედო ბალახი, ვკითხე: — ეს რა ქუჩაა? მსგავსი არა მაქვს ნანახი. — მითხრა: — თელავის ქუჩაა, ჭუჭყით და ნავებით დასვრილი, დარში მტვრის კორიანტელით, ავდარში ლაფით ავსილი. — გზა გავიმორუდეთ მგზავრებმა, ქუჩას გავყევით მეორეს, ქოჩრამდე ლაფით ავივსე და კითხვა გავიმეორე: — ეს რაღა ქუჩა ყოფილა, რომ მაწყველინა გაჩენა?! — ნათლიამ ხელი წამავლო და იქ წარწერა მაჩვენა. ახმეტის ქუჩა ეწერა, ბოლმით ავივსე კახელი, ჩვენს მხარეს არსად არა ვარ მსგავსი ქუჩების მნახველი. ერთი სურვილი თან წამყვა კახეთში კახელს გულიანს, ნეტავ აჩვენათ თელავი, ახმეტა დახატულია, იქნება მაშინ ქუჩებსაც გაპოჩენოდათ პატრონი, არ ყოფილიყვნენ ყველასგან დაეიწყებულნი, მარტონი.

3. კახალიზვილი



ნახ. ნ. მაღაზონიასი

— თუ ძმა ხარ, მასწავლე როგორ ინარჩუნებ დაბალ წონას?  
— მომატება მინდა და დღეში ათჯერ გავრბივარ სამსახურიდან სახლში საკმლის მისაღებად!

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის განზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 18/V-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვ. № 951, უფ. 02588 ტირაჟი 4000

ჩვენთვის ძალიან საწყენია, რომ ამერიკელები, ჩვენი ყოფილი მოკავშირეები, კანცლერ ადენაუერს მისჩანჩალბენ და მხარს უჭერენ მეორე მსოფლიო ომის წამების დატოვების მის საშიშ პოლიტიკას.

(ახხ. ნ. ს. ბრუზინის პასუხიდან ამერიკელ გამომცემლისადმი 1962 წლის 20 აპრილს)

საქართველო  
ბიზნესი



რეპანუისტების წამყვანები და მხარხალები.